სს „თბილლითონნაწარმის“

2019 წლის ფინანსური ანგარიშგება

ს ა რ ჩ ე ვ ი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	- 3
სს „თბილლითონნაწარმის“ 2019 წლის ფინანსური ანგარიშგება:	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	- 4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	- 5
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	- 6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	- 7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	- 8

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ განხორციელებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების მსსფასს-ების მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- საწარმოს აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო პერიოდისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია .

დირექტორი ---------- სოლომონ ადუაშვილი

მთ. ბუღალტერი ---------- თამარ ეხვაია

				ერთეული:1GEL
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		**2019**	**2018**	**2017**
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4.1	3,478,074	3,281,198	3,290,676
		3,478,074	**3,281,198**	**3,290,676**
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	4.2	159,176	28,663	20,056
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	4.3	85,555	22,036	18,418
გადახდილი ავანსები		64,750		
მარაგები	4.4	3,869	11,343	11,343
მისაღები პროცენტები		2,218		
		315,568	**62,041**	**49,817**
მთლიანი აქტივები		**3,793,642**	**3,343,239**	**3,340,493**
მთლიანი კაპიტალი	**4.5**			
საწესდებო კაპიტალი		362,240	362,240	362,240
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		330,649	(77,553)	(57,034)
გადაფასების რეზერვი		2,979,505	2,989,243	2,989,243
		3,672,393	**3,273,930**	**3,294,449**
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	4.6	2,700	37,000	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	4.7	118,548	19,852	39,185
საგადასახადო ვალდებულებები		-	3,093	4,237
გადასახდელი პროცენტი		-	9,364	2,621
			69,309	**46,044**
მთლიანი ვალდებულებები		**121,248**	**69,309**	**46,044**
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		**3,793,642**	**3,343,239**	**3,340,493**

				ერთეული : 1GEL
მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	**შენიშვნა**	**12/31/2019**		**12/31/2018**
ამონაგები	4.8	1,019,394		1,041,721
თვითღირებულება		-		-
საერთო მოგება		**1,019,394**		**1,041,721**
სხვა შემოსავლები		5,960		-
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	4.9	(468,402)		(678,160)
მიწოდების დანახარჯები	4.10	(145,144)		(376,435)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		(707)		-
სხვა ხარჯები		(7,473)		-
საოპერაციო მოგება		**403,627**		**(12,875)**
ფინანსური შემოსავალი		2,218		-
ფინანსური ხარჯი		(7,381)		(7,644)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(5,163)		(7,644)
მოგება დაბეგვრამდე		**398,464**		**(20,519)**
მოგების გადასახადი		-		-
პერიოდის მოგება		**398,464**		**(20,519)**
სხვა სრული შემოსავალი:				
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით				**-**
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		**398,464**		**(20,519)**

				ერთეული :1GEL
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	**სააქციო კაპიტალი**	**გადაფასების რეზერვი**	**დაგროვილი ზარალი**	**მთლიანი კაპიტალი**
2017 წლის 31 დეკემბერი	**362,240**	**2,989,243**	**(57,034)**	**3,294,449**
მოგება წლის ბოლოს	-	-	(20,519)	**(20,519)**
სხვა სრული შემოსავალი	-	-		**-**
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(20,519)	**(20,519)**
2018 წლის 31 დეკემბერი	**362,240**	**2,989,243**	**(77,553)**	**3,273,930**
მოგება წლის ბოლოს	-	-	398,464	398,464
ძირითადი საშუალების გადაფასების რეალიზება	-	(9,739)	9,739	-
2018 წლის 31 დეკემბერი	**362,240**	**2,979,505**	**330,649**	**3,672,393**

	ერთეული:1GEL	ერთეული:1GEL
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	**12/31/2019**	**12/31/2018**
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა მოგება	**398,464**	**(20,519)**
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:	38,775	23,012
ცვეთა	14,342	11,003
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	19,270	4,365
წმინდა ფინანსური ხარჯი	5,163	7,644
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში	**(46,680)**	**(28,460)**
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	(147,539)	(7,982)
მარაგები	7,473	
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	96,478	(19,334)
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	(3,093)	(1,145)
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	**390,559**	**(25,967)**
გადახდილი პროცენტები	(15,979)	
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**374,599**	**(25,967)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(219,780)	(1,524)
ძირითადი საშუალებების და მარაგების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	8,562	
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(211,218)**	**(1,524)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სასესხო ვალდებულების ზრდა	-	36,099
სასესხო ვალდებულებების დაფარვა	(32,868)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	**(32,868)**	**36,099**
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის ზრდა (კლება)	**130,513**	**8,607**
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების საწყისი ბალანსი	**28,663**	**20,056**
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება	-	-
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი	**159,176**	**28,663**

2019 წლის ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. წინამდებარე 2019 წლის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია სააქციო საზოგადოება „თბილლითონნაწარმი“-ს (შემდგომში - საწარმო) მიერ. საწარმო დარეგისტრებულია 12.10.1995 წ. ქ. თბილისის ისნის რაიონის სასამართლოს მიერ #7/5-2 დადგენილებით. მისი რეგისტრაცია მოხდა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. იურიდიული მისამართია: თბილისი, მეველეს ქ. #7/9. მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი # 206027155. საწარმო დარეგისტრებულია დღგ ის გადამხდელად.

1.2. საწარმოს წესდებით, გამოცხადებული სააქციო კაპიტალი შეადგენს 283000 აშშ დოლარს. სააქციო კაპიტალი დაყოფილია 283000 ცალ ჩვეულებრივ სახელობით აქციად, თითო აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 აშშ დოლარი. წესდების ბოლო რედაქცია დამტკიცებულია 22.10.2007 წ. აქციონერთა კრების გადაწყვეტილებით, ოქმი # 2.

2020 წლის 17 სექტემბრის მდგომარეობით, რეგისტრირებულია 388 აქციონერი . მსხვილი აქციონერები არიან:

გიგლა დოლაბერიძე (პ/ნ 53001017767) - 119291 აქცია (42.15230%);

დავით დოლიძე (პ/ნ 01024001321) - 119292 აქცია (42.15265%);

ჰუსეინ ქურთ (პ/ნ 01092001099) - 27659 აქცია (9.77350%).

1.3. საწარმოს ხელმძღვანელი ორგანოებია:

ა) აქციონერთა საერთო კრება, რომელიც მართვის უმაღლესი ორგანოა;

ბ) სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება აქციონერთა კრების მიერ არჩეული სამი წევრისაგან;

გ) დირექტორი.

სამეთვალყურეო საბჭო წარმოდგენილია შემდეგი წევრებით:

თავმჯდომარე -	ნიკოლოზ კუხალეიშვილი, პ/ნ 61001019927;
წევრი (თავმჯდომარის მოადგილე) -	გიგლა დოლაბერიძე, პ/ნ 53001017767;
წევრი -	თეიმურაზ კოჩივარი, პ/ნ 01008020546.

წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი:

დირექტორი - სოლომონ ადუაშვილი, პ/ნ 01027037098.

დირექტორთან ერთად, აღმასრულებელ ფუნქციებს ასრულებს გენერალური მენეჯერი მიხეილ ზირაქაძე, პ/ნ 01009003196.

1.4. საწარმოს ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა უძრავი ქონების იჯარით გაცემა-გაქირავება და თანმხლები მომსახურება, რომელიც ატარებს ორგვარ ხასიათს: შენობა-ნაგებობის ჩვეულებრივი იჯარა და ტერიტორიის დათმობა ბაზრობაზე მოვაჭრეთათვის.

წესდების მიხედვით, სამეურნეო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

1.5. საწარმოს არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები. მისთვის ურთიერთდაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს ყველა ის პირი, რომელიც იმყოფება საწარმოს ხელმძღვანელი პირების კონტროლის ან მნიშვნელოვანი ზეგავლენის ქვეშ, კერძოდ:

შპს „გერმესი“ (ს/კ 445519715) - დირექტორია თეიმურაზ კოჩივარი;

შპს „ნატურალ პროდუქტი“ (ს/კ 405208939) - დირექტორი და 100%-ის მფლობელია გიგლა დოლაბერიძე;

შპს „გუდაური სკი რეზორტი“ (ს/კ 404484955), შპს „ჯავახეთი 14“ (ს/კ 406114949), შპს „პუშკინი 10“ (ს/კ 404467590) - დირექტორი და 100%-ის მფლობელია დავით დოლიძე;

შპს „გუდაური სერვის პლიუსი“ (ს/კ 405179266) - დირექტორი დავით დოლიძე;

შპს „სმაილი“ (ს/კ 205289105) – 100 %-ის მფლობელია დავით დოლიძე;

შპს „ იჯი გრუპი“ (ს/კ 402093792)- 50%-ის წილის მფლობელი შპს „სმაილი“ (ს/კ 205289105) და დირექტორი დავით დოლიძე

აღნიშნული იურიდიული პირებიდან, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოს სამეურნეო ოპერაციები განხორციელებული აქვს მხოლოდ შპს „იჯი გრუპთან“ და შპს სმაილთან.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად, სს თბილლითონნაწარმს როგორც იურიდიული პირს, კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, აქვს მე-3 კატეგორიის საწარმოს სტატუსი , შესაბამისად ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება 2019 წლიდან წარმოებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ მიღებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს

სტანდარტი) მიხედვით და ამავე კანონის მიხედვით გათვალისწინებული შეღავათების გამოყენებით.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია.მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი) , შესაბამისობით მომზადება მენეჯმენტისგან ითხოვს დაშვებების, შეფასებებისა და მოსაზრებების გამოთქმას, რომლებიც მოქმედებენ ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების, ასევე პირობითი აქტივებისა და პირობითი ვალდებულებების თანხებზე. შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია „მსს ფასს“-ების ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ საწარმოს მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი 1 წლის განმავლობაში საწარმო შეწყვეტს ფუნქციონირებას ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, საწარმოს 2019 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. საწარმოს მიერ 2017-2018-2019 წლებში ფაქტობრივად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა შემდეგია:

1) საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ების შესაბამისად.

2) საანგარიშგებო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს.

3) საწარმოს ფინანსური ანგარიშგება მოიცავს: ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და განმარტებით შენიშვნებს. მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება დგება ხარჯების კლასიფიკაციით ფუნქციური დანიშნულების მიხედვით, ხოლო ფულადი ნაკადების ანგარიშგება - არაპირდაპირი მეთოდით.

4) საეჭვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით.

5) მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით.

6) მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

7) ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება: მიწისათვის - გადაფასების მოდელი; შენობა-ნაგებობებისათვის - თვითღირებულების მოდელი; მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობებისათვის - გადაფასების მოდელი, ხოლო სხვა ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივებისათვის - თვითღირებულების მოდელი.

8) ძირითადი საშუალებების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ წლიდან, როცა დაიწყო ძირითადი საშუალების ექსპლუატაცია . პირველ წელს აიღება შესაბამისი ჯგუფის ცვეთისთვის დადგენილი წლიური ნორმის ნახევარი.

10) ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური ნორმის მიხედვით:

შენობა-ნაგებობები	-40 წელი;
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	-20 წელი;
სატრანსპორტო საშუალებები	-10 წელი;
ავეჯი და ინვენტარი	- 10 წელი;
სხვა ძირითადი საშუალებები	- 10 წელი.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.5. საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის საწარმოს ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი საწარმოს ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

3. რეკლასიფიკაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში შესული ცვლილება

2019 წელს სააქციო საზოგადოებამ 2017-2018 წლების ანგარიშგებაში მოახდინა ტექნიკური შეცდომის გასწორება კერძოდ : საწესდებო კაპიტალის ბალანსი გაიზარდა 10,627 ლარით და გახდა 362,240 ლარი, ხოლო დაგროვილი ზარალი გაიზარდა 10,627 ლარით და გახდა 2017 წელს (57,034) ლარი და 2018 წელს (77,553) ლარი . (იხილეთ კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება)

4. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

4.1 ძირითადი საშუალებები შედგება შემდეგი ჯგუფებისგან :

2018-2019 წლის ძირითადი საშუალებების მოძრაობა

	მიწა	შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	ავეჯი და სხვა	სატრანსპორტო საშუალებები	მიმდინარე რემონტი	სულ
31 დეკემბერი 2018	**2,988,518**	**377,969**	**24,015**	**29,617**	**1,554**	**-**	**3,421,672**
შემოსვლა	13,224	81,776		163	-	123,329	**218,492**
გაყიდვა	-	(2,480)	(13,394)	(357)	(433)	-	(16,664)
31 დეკემბერი 2019	**3,001,742**	**457,264**	**10,621**	**29,422**	**1,121**	**123,329**	**3,623,500**
ცვეთა და გაუფასურება							
31 დეკემბერი 2018	**-**	**(119,000)**	**(11,740)**	**(8,214)**	**(1,521)**	**-**	(140,475)
პერიოდის ცვეთა	-	(10,409)	(1,020)	(2,879)	(33)	-	(14,342)
გაყიდვა	-	1,609	7,026	322	433	-	9,391
31 დეკემბერი 2019	**-**	**(127,800)**	**(5,734)**	**(10,771)**	**(1,121)**	**-**	**(145,426)**
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2018	**2,988,518**	**258,969**	**12,275**	**21,403**	**33**	**-**	**3,281,198**
31 დეკემბერი 2019	**3,001,742**	**329,465**	**4,887**	**18,651**	**-**	**123,329**	**3,478,074**

2017-2018 წლის ძირითადი საშუალებების მოძრაობა

	მიწა	შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	ავეჯი და სხვა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2017	**2,988,518**	**377,969**	**24,015**	**28,093**	**1,554**	**3,420,148**
შემოსვლა	-	-	-	1,524	-	1,524
31 დეკემბერი 2018	**2,988,518**	**377,969**	**24,015**	**29,617**	**1,554**	**3,421,672**
ცვეთა და გაუფასურება						
31 დეკემბერი 2017	-	(111,754)	(10,790)	(5,423)	(1,504)	(129,472)
პერიოდის ცვეთა	-	(7,245)	(950)	(2,791)	(16)	(11,003)
31 დეკემბერი 2018	**-**	**(119,000)**	**(11,740)**	**(8,214)**	**(1,521)**	**(140,475)**
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2017	**2,988,518**	**266,214**	**13,225**	**22,670**	**49**	**3,290,676**
31 დეკემბერი 2018	**2,988,518**	**258,969**	**12,275**	**21,403**	**33**	**3,281,198**

ძირითად საშუალებებში აღნიშნული მიწის ნაკვეთები ურთიერთმომიჯნავეა. მიწის ნაკვეთები აღრიცხულია გადაფასების მოდელით. მათი თავდაპირველი გადაფასება მოხდა 2010 წელს, საწარმოს საკუთარი შეფასებით, ხოლო 2017 წელს ისინი ხელმეორედ იქნა გადაფასებული მოწვეული აუდიტური კომპანიის - შპს „აუდიტორული ფირმა სალომეს“ მიერ, საიდენტიფიკაციო კოდი 200089108, აუდიტურ ფირმათა რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-F-542504. შეფასება განხორციელდა პროფესიონალი შემფასებლის - ესმა ფიცხელაურის მიერ, რომელიც არის საქართველოს ქონების შემფასებელ ექსპერტთა ინსტიტუტის წევრი, სერტიფიკატი A GAC-PC-0005 #105. შეფასება განხორციელდა 2017 წლის 1 იანვრის (ანუ, 2016 წლის ბოლო დღის) მდგომარეობით და 1მ2 მიწის ნაკვეთი შეფასებული იქნა 85.50 USD=226.30

საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკით, მანქანა-დანადგარების მიმართ გამოიყენება გადაფასების მოდელი. ბოლო გადაფასება ჩატარებულია 17.12.2010 წ. დამოუკიდებელი შემფასებლის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ, დასკვნა #17049/10/1. შემდგომ წლებში მანქანა-დანადგარები არ შეძენილა.

უძრავი ქონების ნაწილი დატვირთულია იპოთეკით მესამე პირებუის სასარგებლოდ.

მიმდინარეობს შენობა ნაგებობის რემონტი , რომლის დასრულებაც იგეგმება 2020 წელს .

4.2

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2019	2018	2017
ნაღდი ფული და მოთხოვნამდე ანგარიშები	159,176	28,663	20,056
სულ	**159,176**	**28,663**	**20,056**

4.3.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2019	2018	2017
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	85,555	19,989	9,288
გადახდილი ავანსები	-	755	4,314
მოთხოვნა დაკავშირებული მხარეებისადმი	-	1,292	4,816
სულ	**85,555**	**22,036**	**18,418**

2019 წელს კომპანიამ აღიარა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი 19,270 ლარის (2018: 4365.00 ლარი) ოდენობით .

4.4

მარაგები

	2019	2018	2017
შავი ლითონის ჯართი(1.86 ტონა)	631	631	631
პანელები და ფილები	1,188	1,188	1,188
კოჭები	203	3,390	3,390
ლითონის ფურცლები	552	3,097	3,097
სხვა მასალები	1295	3,036	3,036
სულ	**3,869**	**11,342**	**11,342**

საწარმოს მარაგები ასახულია თვითღირებულებით. ისინი ვარგისია და მათი გამოყენება (გარდა ჯართისა, რომელიც გამიზნულია გასაყიდად) იგეგმება სარემონტო-სამეურნეო საქმიანობაში. მარაგების შეფასება ნეტო გასაყიდი ღირებულებით არ მომხდარა, რადგან მათი ნეტო გასაყიდი ღირებულება არ არის არსებითად განსხვავებული მათი თვითღირებულებისაგან.

2019 წელს მარაგების შემცირება გამოწვეულია მათი რეალიზაციით (ჯართის სახით) .

4.5

	სააქციო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	დაგროვილი მოგება/(ზარალი)	მთლიანი კაპიტალი
2017 წლის 31 დეკემბერი	**362,240**	**2,989,243**	**(57,034)**	**3,294,449**
მოგება წლის ბოლოს	-	-	(20,519)	**(20,519)**
სხვა სრული შემოსავალი	-	-		**-**
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(20,519)	**(20,519)**
2018 წლის 31 დეკემბერი	**362,240**	**2,989,243**	**(77,553)**	**3,273,930**
მოგება წლის ბოლოს	-	-	398,464	**398,464**
ძირითადი საშუალების გადაფასების რეალიზება	-	(9,739)	9,739	**-**
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	**-**
პერიოდის სრული შემოსავალი	-	(9,739)	408,202	**398,464**
2019 წლის 31 დეკემბერი	**362,240**	**2,979,505**	**330,649**	**3,672,393**

გამოცხადებული სააქციო კაპიტალი შეადგენს 283000 აშშ დოლარს. სააქციო კაპიტალი დაყოფილია 283000 ცალ ჩვეულებრივ სახელობით აქციად, თითო აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 აშშ დოლარი, რაც სააქციო კაპიტალის შევსების დროს შეადგენდა 1.28 ლარს. მსხვილი აქციონერები არიან: გიგლა დოლაბერიძე - 119291 აქცია (42.15230%); დავით დოლიძე - 119292 აქცია (42.15265%) და ჰუსეინ ქურთ (პ/ნ 01092001099) - 27659 აქცია (9.77350%).

გადაფასების რეზერვი წარმოიქმნა მანქანა-დანადგარების აფასებიდან, რომელიც ჩატარდა 17.12.2010 წ. დამოუკიდებელი შემფასებლის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ, დასკვნა #17049/10/1. შემდგომ წლებში ახალი მანქანა-დანადგარები არ შეძენილა. 2011 , 2013, 2016 , 2019 წლებში მოხდა მანქანა-დანადგარების გაყიდვა, რა დროსაც გაყიდული ძირითადი საშუალების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელი მოგება/ზარალის ანგარიშზე მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში ასახვის გარეშე. 2019 წელს მანქანა-დანადგარების გაყიდვის გამო ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან გაუნაწილებელი მოგება/ზარალის ანგარიშზე გადატანილი იქნა 9,739 ლარი.

გადაფასების რეზერვი ასევე წარმოიქმნა მიწის გადაფასებიდან.მათი თავდაპირველი გადაფასება მოხდა 2010 წელს, საწარმოს საკუთარი შეფასებით, ხოლო 2017 წელს ისინი ხელმეორედ იქნა გადაფასებული მოწვეული აუდიტური კომპანიის - შპს „აუდიტორული ფირმა სალომეს“ მიერ, საიდენტიფიკაციო კოდი 200089108, აუდიტურ ფირმათა რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-F-542504. შეფასება განხორციელდა პროფესიონალი შემფასებლის - ესმა ფიცხელაურის მიერ, რომელიც არის საქართველოს ქონების შემფასებელ ექსპერტთა ინსტიტუტის წევრი, სერტიფიკატი A GAC-PC-0005 #105. შეფასება განხორციელდა 2017 წლის 1 იანვრის (ანუ, 2016 წლის ბოლო დღის) მდგომარეობით და 1მ2 მიწის ნაკვეთი შეფასებული იქნა 85.50 USD=226.30

4.6

მოკლევადიანი სესხები	**2019**	**2018**
დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხები	2700	37,000
გადასახდელი პროცენტი	-	9364
სულ სესხები	**2700**	**46,364**

4.7

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2018	**2018**	**2017**
კომუნალური ვალდებულებები	15,513	16,973	35,924
მიღებული ავანსები	100,000		
სხვა ვალდებულებები	3,035	2,878	3,261
სულ	**118,548**	**19,852**	**39,185**

4.8

ამონაგები

	2019	**2018**
ბაზარზე ადგილების გაქირავება და შევლის საფასური	482,115	506,325
შემოსავალი იჯარიდან	494,907	284,810
თანმხლები კომუნალური მომსახურება	42,372	250,585
სულ	**1,019,394**	**1,041,721**

4.9

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2019	2018
შრომის ანაზღაურება	418,821	642,658
ცვეთა და ამორტიზაცია	14,342	11,003
ქონების გადასახადი	12,183	9,727
საკონსულტაციო ხარჯები	1,857	6,702
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	19,270	4,365
კომუნიკაციის ხარჯები	773	2,785
სხვა	1156	922
სულ	**468,402**	**678,161**

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებიდან მენეჯმენტის (სამეთვალყურეო საბჭოს წევრები და მენეჯერები) სახელფასო ანაზღაურება 5 ადამიანზე 2019 წელს შეადგენს:183,107.15 ლარს (2018: 339,500 ლარი).

4.10

მიწოდების დანახარჯები

	2019	2018
კომუნალური დანახარჯები	113,790	344,670
საიჯარო ქირა	30,508	30,508
სალარო აპარატის მომსახურება	846	1,256
სულ	**145,144**	**376,435**